ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს

**სხდომის ოქმი N 4**

2022 წლის 9 ივნისი, 16:00 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

**სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები:**

**თინათინ ნიბლოშვილი** - სხდომის (საბჭოს) **თავმჯდომარე,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;

**ნინო ვარდოსანიძე** - საბჭოს **თავმჯდომარის მოადგილე,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე;

**გურამ ოქროპირიძე - საბჭოს მდივანი,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

**ნინო რუხაძე** - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის "ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო " თავმჯდომარის მოადგილე;

**მაია გეგია** - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილე;

**მარიკა დარჩია** - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის სამდივნოს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი;

**ანა კაკაბაძე** - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

**ნინელი ფუტკარაძე** - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის სამდივნოს უფროსი;

**ელეონორა კაპანაძე** - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილე;

**მარიამ ზაქარიაშვილი** - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

**ელენე დუმბაძე** - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი;

**ვლადიმერ ბოჟაძე** - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

**ვახტანგ სურგულაძე** - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

**სალომე კობალაძე** - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

**ნინო ჩიმაკაძე** - საბჭოს წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების III რანგის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

**სხდომას ასევე ესწრებოდნენ:**

- პარლამენტის წევრი, გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარე **ნინო წილოსანი;**
- პარლამენტის წევრი, განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **თამარ ტალიაშვილი;**
- გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) წარმომადგენელი, ადამიანის უფლებების, გენდერული თანასწორობის და სოციალური ინკლუზიის მიმართულების ხელმძღვანელი, **ლელა აქიაშვილი;**
- საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდის (IFES) წარმომადგენელი, გენდერის და ინკლუზიის მენეჯერი - **მირანდა ტყაბლაძე;**
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გამგეობებში, გენდერულ საკითხებზე მომუშავე საკოორდინაციო ჯგუფის წევრები.

**სხდომის დღის წესრიგი:**

1. გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის განხილვა.

სხდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ, **თინათინ ნიბლოშვილმა,** მისასალმებელი სიტყვით გახსნა, დამსწრეებს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი გააცნო და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარემ, **თინათინ ნიბლოშვილმა,** შეხვედრის მნიშვნელობაზე, ასევე გენდერული თანასწორობის გაძლიერების მიმართულებით მიღწეული შედეგების შესახებ ისაუბრა და აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრების შეხვედრა გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარესთან, ნინო წილოსანთან მნიშვნელოვნია გამოცდილების გაზიარებისთვის და სამომავლო ურთიერთთანამშრომლობისთვის.

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარემ, **ნინო წილოსანმა,** საბჭოს 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის პრეზენტაცია წარადგინა და ქალთა ეკონომიკური მდგომარეობის და უფლებების გაძლიერების საერთაშორისო და ეროვნულ მექანიზმებზე ისაუბრა.

**ნინო წილოსანის** განცხადებით, სამოქმედო გეგმა ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმებს და აღსრულების პროცესს განსაზღვრავს. სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი მიზანი ქალების ძალადობისგან დაცვაა, რისთვისაც მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს მხრიდან უზრუნველყოფილი იყოს იმ სერვისების მიწოდება, რომელიც მათი რეალიზებისთვის აუცილებელია.

სამუშაო შეხვედრა დისკუსიის ფორმატში წარიმართა, რომელზეც საბჭოს წევრებმა: **ნინო რუხაძემ, ვახტანგ სურგულაძემ, ნინელი ფუტკარაძემ და ანა კაკაბაძემ** სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით მოსაზრებები დააფიქსირეს და სამომავლოდ აქტიურ თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ.

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) წარმომადგენელმა, ადამიანის უფლებების, გენდერული თანასწორობის და სოციალური ინკლუზიის მიმართულების ხელმძღვანელი, **ლელა აქიაშვილმა,** სართაშორისო და ეროვნულ ვალდებულებებსა და სამოქმედო გეგმებზე ისაუბრა. სიტყვით გამოსვლისას ყურადღება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციაზე, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებზე, ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების საქართველოს ეროვნულ სამოქმედო გეგმასა და ასევე სხვა საკითხებზე გაამახვილა.

სხდომის დასასრულს საბჭოს თავმჯდომარემ, **თინათინ ნიბლოშვილმა,** საბჭოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას ნაყოფიერი სამუშაო დღისთვის მადლობა გადაუხადა და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: თინათინ ნიბლოშვილი თ. ნიბლოშვილი

სხდომის მდივანი: გურამ ოქროპირიძე